# რედაქტორისგან

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე უამრავი რამ დაწერილა და დაიწერება. ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა წარმოდგენები, პრინციპები, მეთოდები და თეორიები, მაგრამ არ შეცვლილან ბავშვები და სწორედ მათ იციან ყველაზე უკეთ, როგორი უნდა იყოს მასწავლებელი.

UNESCO-მ საინტერესო წიგნი გამოსცა: „როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი, ბავშვების აზრით“. წიგნის შექმნაში მსოფლიოს 50 ქვეყნის 500-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. 8-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვები სპონტანურად პასუხობენ კითხვას, როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი. მათი პასუხები ფასეული, შთამბეჭდავი და აქტუალურია.

„კარგი მასწავლებელი მოსწავლეს საკუთარი შვილივით უნდა ექცეოდეს. ის უნდა პასუხობდეს ყველა კითხვას, სულელურსაც კი“, – ამბობს **11 წლის ფატუმატა, ჩადის რესპუბლიკის მკვიდრი**.

„მასწავლებელი უნდა იყოს კეთილი, სანდომიანი და მეგობრული. მან ყველას უნდა უსმინოს, არ დაკარგოს წონასწორობა და არ დატოვოს უყურადღებოდ არც ერთი ჩვენგანი, – მიაჩნია **9 წლის ახალზელანდიელ როუზს**, – მე ძალიან მიყვარს, როცა მიღიმიან და თავაზიანად მესაუბრებიან“.

„მასწავლებელი მოსწავლისთვის იგივეა, რაც წვიმა მინდვრისთვის“, – ეს **ზიმბაბველი ზანდილ სანდრას** სიტყვებია.

„კარგ მასწავლებლებს უყვართ თავიანთი საქმე, ისინი კარგად ემზადებიან გაკვეთილისთვის და ეამაყებათ, რომ ბავშვებს ასწავლიან“, – ამბობს **12 წლის ტაპსოლა ბურკინა-ფასოდან**.

„იმისთვის, რომ კარგი მასწავლებელი გახდე, ბავშვების სწავლება არ არის საკმარისი – უნდა შეგეძლოს, ისწავლო კიდეც მათგან“, – მიაჩნია **11 წლის ჟანას ჩეხეთის რესპუბლიკიდან**.

**12 წლის იტალიელი ანაბელი** კი მიიჩნევს, რომ კარგი მასწავლებელი მხოლოდ გაკვეთილს კი არ ატარებს, არამედ გაცილებით მეტს აკეთებს: „ის ჩვენ ახალ იდეებს გვთავაზობს და გვიხსნის, რაც ჩვენთვის გაუგებარია. მისი გაკვეთილი გართობა უნდა იყოს და არა ციხე“.

„მე ისეთი მასწავლებელი მომწონს, რომელიც მეხმარება, ვიფიქრო და მე თვითონ მივაგნო კითხვის პასუხს“, – ამბობს **10 წლის პორტუგალიელი კატარინა**.

დარწმუნებული ვარ, ქართველი ბავშვებიც იმავეს ელიან მასწავლებლისგან. იმისიც მჯერა, რომ ჩვენი მასწავლებლები ამ ჩანაწერებში საკუთარ თავსაც იპოვიან.

ნატო ინგოროყვა
*მთავარი რედაქტორი*


# მასწავლებელი

N4(35), 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / 8-374

**მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, ირინა აბულაძე, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** ვიოლეტა კვირიკაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ქეთევან ოსიაშვილი, მაია ჯალიაშვილი, ირინე სამსონია, ნინო რევიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, ეკატერინე ყიფიანი, თეო ჭყოიძე, თეო ნეფარიძე, მაია ინასარიძე, დავით ბოლქვაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

4 | გიორგი მაჩაბელი: „ყველაფერი მასწავლებლის სასიკეთოდ გაკეთდება“

მასწავლებლის პროფესია ყოველდღიურ სწავლას, ცოდნის განახლებას მოითხოვს. ეს არ არის იოლი საქმე. ცენტრმა ყველა იმ პროექტის ინიცირებას უნდა შეუწყოს ხელი, რომელიც მასწავლებლის საჭიროებებზე იქნება ორიენტირებული.

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

10 | მოსწავლე სასწავლო პროცესის მრავალფუნქციური ნაწილია

მასწავლებელი მოსწავლეთა სწავლის გასაუმჯობესებლად ყველა ხელმისაწვდომ რესურსს იყენებს. პრაქტიკოსი მასწავლებლები და განათლების სპეციალისტები, პრაქტიკასა და კვლევებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად ასაბუთებენ, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში შეუცვლელი მრავალფუნქციური რესურსია.

ნინო რევიშვილი

14 | ბავშვობის გარემოცვა

მაშინ, როდესაც მოზარდებში მხოლოდ ფიზიკური ძალადობის  კონტროლსა და პრევენციას ეთმობა ყურადღება, აგრესიის გამოვლინება სხვა ფორმებს იღებს. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ახსოვდეთ, რომ ცუდი ბავშვები არ არსებობენ და რომ „მოძალადეები“, სინამდვილეში, ყველაზე დაუცველი მოსწავლეები არიან!





მოსაზრება

თეო ნეფარიძე

49 | თანატოლთა ზეწოლისგან თავისუფალი სასკოლო გარემო

ჯანსაღი და უსაფრთხო სასკოლო გარემო მნიშვნელოვანია როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის. თანატოლთა ზეწოლა, ცხადია, საფრთხეს უქმნის ჯანსაღ და უსაფრთხო სასკოლო გარემოს და უარყოფით გავლენას ახდენს, პირველ რიგში, მოსწავლეებზე, ასევე მშობლებსა და სკოლის თანამშრომლებზე.

გამოცდილება

მარინე ჯაფარიძე

22 | სელიგმანის ოპტიმიზმის თეორიის შესახებ

დადგა დრო, შეიქმნას ახალი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის პოზიტიურ გრძნობებს, დაეხმარება ადამიანებს ხასიათის დადებითი თვისებების განვითარებაში, რათა მიაღწიონ იმას, რასაც არისტოტელე „კეთილდღეობას“ უწოდებს.

ეკატერინე ყიფიანი

35 | ვინ უნდა იზრუნოს მოსწავლეების კეთილდღეობაზე – მასწავლებლებმა თუ მშობლებმა?

არცთუ იშვიათად გვხვდებიან გარიყული ბავშვები, ვისაც მთელი კლასი უპირისპირდება. კლასელები ჰყვებიან, რომ ეს მოსწავლე მათ ცუდად მიმართავს, აგრესიულად ექცევა. ვის უნდა დაუჭიროს მხარი მასწავლებელმა: გარიყულ მოსწავლეს თუ კლასის დიდ ნაწილს?

დავით ბოლქვაძე

39 | როგორ ვიმუშაოთ სხვადასხვა აკადემიური უნარის მქონე მოსწავლეებთან

უპრიანი იქნება გავიხსენოთ საკუთარი თავი ჩვენთვის მოუხელთებელი საგნის სწავლისას და შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვას: როგორ ვისურვებდით ის საგანი ჩვენთვის რომ ესწავლებინათ? ისიც ხომ გასათვალისწინებელია, რომ უმეტესწილად ჩვენ იმ საგნის მასწავლებლები ვართ, რაშიც სკოლაში სწავლისას ძლიერები ვიყავით, ამიტომ არ შეიძლება ყველა მოსწავლისგან ასეთივე მოლოდინი გვქონდეს.

# შინაარსი

43


## რესურსი

ირინა სამსონია

**18** მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი

მხატვრული ტექსტების დამუშავება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე, როდესაც შესასწავლი ტექსტების კორპუსი სულ უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება. ის მოიცავს სხვადასხვა ეპოქის, მიმდინარეობისა და ჟანრის ნაწარმოებებს, რომელთა თემატიკაც და იდეური მხარეც ღრმა და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30

მაია ფირჩხაძე

**20** გამომგონებლური პრობლემების გადაჭრის თეორია და სასწავლო პროცესი

აზროვნება რთული და საინტერესო პროცესია. მის „გამართულ“ მუშაობაზეა დამოკიდებული ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მხარეები, ახალი ტექნოლოგიური აღმოჩენები და გამოგონებები, შემეცნების ახალი გზების ძიება.

ვიოლეტა კვირიკაშვილი

**42** წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში (კვაზიწერა)

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მასალა საორიენტაციოა. მასწავლებელი, რომელიც ჩასწვდება აღნიშნული მიმართულებით მუშაობის არსს, მის ხელთ არსებული მასალის პირობებში თავად მონახავს გზას, როგორ ამუშაოს კლასი.

## რესურსი

მაია ჯალიაშვილი

**45** პოეტური კოდი – ვრუბელი. ქართული პოეზიის სწავლებისათვის

ქართული პოეზიის სწავლებისას მნიშვნელოვანია იმ ალუზიების, რემინისცენციების და სხვა ტიპის მინიშნებების ზედმიწევნით ახსნა-განმარტება, რომლებიც მხატვრული კონტექსტის სააზროვნო ველს ქმნიან.

თეო ჭყოიძე

**53** როგორ ვიკითხოთ ლიტერატურა

გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეებს მხატვრული ნაწარმოებების დამუშავებასა და საკითხის შეჯამებაში.

მაია ინასარიძე

**7** ვაქციოთ სწავლა სახალისო პროცესად

თამაშის საშუალებით ვლინდება და ვითარდება ის შესაძლებლობები, რომლებიც შემდგომ სერიოზული საქმიანობების საფუძველი ხდება. ასე რომ, ვაქციოთ სწავლის პროცესი ერთდროულად სახალისოდ და სასარგებლოდ.